ლელო

№ 90
(12 058)

21 – 23 ნოემბერი, 2006 წ.

ფასი 40 თ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან • გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში: http://www.opentext.org.ge/lelo

ხანჯალიაშვილის დროც დადგა...

ქართული ჭიდაობა. საქართველოს აბსოლუტური პირველობა

თბილისის, გორის, თელავის, რუსთავის, კასპის, მცხეთის და სხვა რაიონების უძლიერესი ფალავნების მონაწილეობით სპორტის სასახლეში ჩატარდა საქართველოს აბსოლუტური პირველობა ქართულ ჭიდაობაში. ტურნირმა დიდი ინტერესი გამოიწვია. ორგანიზატორების მიერ დაწესებული იყო გვარიანი ფულადი ჯილდოები. მიუხედავად სიცივისა, ფალავნებმა ხალიჩაზე ცხარე ბრძოლები გამართეს. თავდაპირველად ოთხ წონით კატეგორიაში (75, 80, 90 და მძიმე) მოეწყო მედალოსნების გამოსავლენად ასპარეზობა. ფინალისტები დამატებით ფალავნობაზე გამართულ ასპარეზობაში ჩაებნენ. ფინალურ შეხვედრაში გორელმა ზვიად ბაზანდარაშვილმა (75) დაამარცხა კასპელი კახა მამულაშვილი, მცხეთელმა გიორგი ბაინდურაშვილმა (80) მოუგო ხვიჩა ხუციშვილს (თბ), იოსებ მსხალაძემ (90) სძლია ნიკოლოზ ბიბილაშვილს (ორივე – გორი), ხოლო მძიმეში თელაველმა ძიუდოისტმა ზვიად ხანჯალიაშვილმა გამარჯვება იზეიმა მცხეთელ მირიან პავლიაშვილთან. შერკინებაში. ფალავნობისათვის გადამწყვეტ ბრძოლაში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ხანჯალიაშვილი და მსხალაძე, წონითა და სიმაღლით გიგანტმა, ჭიდაობაში კარგად ქებულმა ზვიადმა დამსახურებულად გაიმარჯვა ამ შეხვედრაში და საქართველოს ფალავნობასთან ერთად ფულადი ჯილდო 3 ათასი დოლარიც მიიღო. მეორე ადგილზე გასულ იოსებს 2 ათასი, ხოლო მესამეზე დარჩენილ ბაინდურაშვილს ათასი დოლარი ერგო.

დასანანია, რომ ასეთ კარგად ორგანიზებულ შეჯიბრებას (სპორტის სასახლეში სიცივის გამო) ცოტა მაყურებელი ჰყავდა.

მილოცვა

საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია და საქართველოს ვეტერან მოჭიდავეთა კავშირი დაბადებიდან 80 წლისთავს ულოცავენ ლეგენდარულ ფალავანს, თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს და ვერცხლის პრიზიორს, ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს მედალოსანს, სსრ კავშირის ექვსგზის ჩემპიონს და სამგზის მეორე პრიზიორს, ბრინჯაოს მედალოსანს „ჭიდაობის პროფესორს" **ვახტანგ ბალავაძეს.**

საქართველოს XVIII ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ლიგა

XII ტური. 18 ნოემბერი

ბორჯომი — დინამო (ბთ) 0-0
დინამო (თბ) — ჩიხურა 3-1
დილა — ვიტ ჯორჯია 0-6
ამერი — ოლიმპი 2-2
ტორპედო — მერანი 3-1
სიონი — ლოკომოტივი 1-0
კახეთი — ზესტაფონი 0-2

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
ამერი	12	9	3	0	25-4	30
ოლიმპი	12	9	2	1	31-5	29
ვიტჯორჯია	12	8	3	1	26-13	27
ზესტაფონი	12	8	3	1	18-3	27
დინამო (თბ)	12	8	0	4	21-10	24
ტორპედო	12	7	3	2	16-7	24
სიონი	12	6	2	4	16-10	20
ბორჯომი	12	3	3	6	15-21	12
ლოკომოტივი	12	3	2	7	9-17	11
მერანი	12	3	2	7	9-23	11
დინამო (ბთ)	12	2	3	7	9-11	9
ჩიხურა	12	2	3	7	9-21	9
დილა	12	0	2	10	5-37	2
კახეთი	12	0	1	11	9-36	1

„პრეზიდენტის თასი" თბილისელებს

პრეზიდენტის თასის მფლობელი თბილისის ნაკრები

ფოტო ე. მალხაზიშვილისა

ქართულ ჭიდაობაში აბსოლუტური პირველობის დასრულების შემდეგ, თბილისის სპორტის სასახლის საჭიდაო ხალიჩა საასპარეზოდ „საქართველოს პრეზიდენტის თასის" მეორე გათამაშებაში მონაწილე კახეთის, თბილისის, იმერეთის და მცხეთა-მთიანეთის ნაკრებებს დაეთმო.

შარშანდელ გამარჯვებულს, კახეთის გუნდს, დასანანი გაუთვალისწინებლობის გამო განაცხადში შეყვანილი არ ჰყავდა ფალავნობაში გამარჯვებული თელაველი **ზვიად ხანჯალიაშვილი,** რის გამოც გუნდი დაზარალდა — ისინი სამეულის მიღმა დარჩნენ.

აჯილდოებს ზაზა ბეგაშვილი

დაძაბულად წარიმართა ფინალური შეხვედრა თბილისისა და მცხეთა-თიანეთის მოჭიდავეებს შორის. თავიდანვე 3:1 დაწინაურდნენ ქალაქელები, მაგრამ მომდევნო ორ შეხვედრაში ანგარიში გათანაბრდა 3:3. ყველაფერი გადაწყვიტა ბოლო შერკინებამ, სადაც მძიმეწონოსანი ცნობილი ძიუდოისტი **ლაშა გუჯეჯიანი** (თბ) დაეჭიდა ასევე გამოცდილ ფალავანს **ადამ ოქრუაშვილს** (მცხეთა-მთიანეთი). გამარჯვება იზეიმა ლაშამ და ამ მოგებით თბილისის გუნდი „საქართველოს პრეზიდენტის თასის" მფლობელი გახდა. მათვე გადაეცათ დაწესებული ფულადი ჯილდო 5 ათასი ლარი.

გაგაცნობთ გამარჯვებული გუნდის შემადგენლობას: **ავთანდილ ცინცაძე, ბეთქილ შუკვანი** (ორივე — 60 კგ), **გიგა შოშიაშვილი, ლევან ქოჩიევი** (65), **მინდია ხომიზური, გიორგი გუჯეჯიანი** (70), **ოთარ ახალაია** (75), **იოსებ რამაზაშვილი** (80), **დავით დავითაშვილი** (90) და **ლაშა გუჯეჯიანი** (მძიმე). მეორე ადგილზე გასულმა მცხეთა — მთიანეთელებმა ჯილდოდ 3 ათასი ლარი მიიღეს, ხოლო მესამე ადგილის მფლობელს იმერეთის გუნდს (მესამე ადგილისთვის საჭიდაოდ არ გავიდნენ გულდაწყვეტილი კახელი მოჭიდავეები) დაწესებული 2 ათასი ლარი ერგო. კლუბ „საგარეჯოს" ხელმძღვანელობამ კახელ ფალავნებს გაუთვლელი მარცხისათვის უთანაგრძნო და გულნატკენებს საჩუქრად 5 ათასი ლარი გადასცა.

მძლეოსნობა. საერთაშორისო გარბენი

«ბორჯომის თასი» კენიელმა მოიგო

სეულის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორის **მაია აზარაშვილის** სახელობის გარბენი ბორჯომში ჩაისახა და იქვე ჩატარდა ოთხი ასპარეზობა. თავარ ჯილდოს „ბორჯომის თასი" ეწოდა. გარბენის გენერალური სპონსორია კომპანია „ბორჯომი". მეხუთე გარბენს თბილისმა უმასპინძლა გასულ კვირას, 19 ნოემბერს. ამიერიდან, ვარაუდობენ, ეს შეჯიბრება ყოველთვის თბილისში გაიმართება და მასში 40-50 ქვეყნის წარმომადგენლები იასპარეზებენ. ამჯერად კი თბილისში 11 ქვეყნიდან 34 მონაწილემ გაირბინა 10 კმ-იანი დისტანცია. სტარტი მორბენლებმა ვაკის საცურაო აუზის წინამდებარე მოედანზე აიღეს. სრული მარშრუტი კი ასეთი იყო: ვაკე — თავისუფლების მოედანი — სანაპირო — ეროვნული სტადიონი.

ასპარეზობის დონის ასამაღლებლად ორგანიზატორებმა მხოლოდ პროფესიონალებს დართეს გარბენში მონაწილეობის უფლება. სტადიონის ახალ ბილიკზე პირველი გამოჩნდა, მორბენლებით განთქმული აფრიკული ქვეყნის, კენიის წარმომადგენელი **ვინსენტ კიპცირციო,** რომელმაც დიდი უპირატესობით მოიგო ეთა გარბენი. მისი შედეგია — 31 წუთი, 29,7 წამი. მეორე იყო გერმანელი **დანიელ პიკლი** — 33.01,70. მესამე ადგილი წილად ხვდა სომხეთის მორბენალს **ჰმაკ ეგიკიანს** — 14.00,29. მესამე პრიზიოთან მცირედით წააგო **გიორგი შეყრილაძემ** — 33.43,80. ქალთა შორის ფინიშთან ეროვნულ სტადიონზე პირველი მიიჭრა რუსი იულია ვინოკუროვა — 35.52,40, მეორე იყო შარშანდელი გარბენის მეორე პრიზიორი, უკრაინელი **კატრინა კარმენენკო** — 36.19.00, მესამეზე — მოლდოველი **სვეტლანა შიპილოვა** — 37.17,70. წლევანდელ გარბენით დაინტერესდა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი. დეპარტამენტის თავმჯდომარე **დავით ნამგალაურმა** ყოველგვარი მხარდაჭერა აღუთქვა ორგანიზატორებს. როგორც ფედერაციის პრეზიდენტმა **თამაზ მდინარაძემ** გვითხრა, დეპარტამენტის თავმჯდომარის თხოვნით, მაია აზარაშვილის სახელობის გარბენის საერთაშორისო ასპარეზობათა კალენდარში ჩართვის საკითხი დადგება დღის წესრიგში.

ცოტნე ბაქრაძე.

ზაურ სახვაძე ევროპის მესამე პრიზიორია

ვეტერანები მწყობრში

ვეტერან ძიუდოისტთა ევროპის წლევანდელ ჩემპიონატს პრაღამ უმასპინძლა. გერმანიის, იტალიის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, ბელგიის, ჩეხეთის, შვეციის, თურქეთის, რუსეთის და ძიუდოს სხვა წამყვანი ქვეყნების ვეტერან ფალავანთა შორის ჩეხეთის დედაქალაქში სამი ქართველიც მონაწილეობდა. ჩვენებიდან კვლავ ისახელა ვეტერანთა შორის ევროპისა და მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონმა და პრიზიორმა, პოლიციის პოლკოვნიკმა **ზაურ სახვაძემ,** რომელიც მესამე საპრიზო ადგილზე გავიდა უძლიერესთა შორის.

ზ. სახვაძე (მარცხნივ) და ქ. რაში

„დიდი მადლობა მინდა თქვენი გაზეთის საშუალებით გადავუხადო ძიუდოს ფედერაციის გენერალურ მდივანს **ნორ მარტყოფლიშვილს,** ნაკრების ვარ მწვრთნელს **შოთა ხაბარელს,** ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს **შენგელი ფიცხელაურს,** ჭიდაობის ფედერაციიდან **ომზარ შოშიტაშვილს** და **ზაზა თურმანიძეს,** დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეს **გია გალდავას** ხელშეწყობისა და თანადგომისთვის" — გვითხრა გუშინ რედაქციაში სტუმრობისას ზაურ სახვაძემ.

პროფესიული კრივი

„თეთრი გედი" გისმობთ...

საქართველოს პროფესიული კრივის ფედერაციის (პრეზიდენტი **გიორგი კანდელაკი**). გადაწყვეტილებით მოკრივეთა ორთაბრძოლები ვერის ბაღის ნაცვლად გლდანში გასართობ ცენტრ „თეთრ გედში" ტარდება. „ჩხუბები" ამ შენობაში ხუთშაბათობით 18 საათიდან ტარდება. მაყურებელი რინგზე იხილავს პროფესიონალ-ტყავის ხელთათმანის ოსტატებს საქართველოდან, უკრაინიდან, სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან, შემდეგში კი ეს არეალი გაფართოვდება. აქვე გაიმართება გასართობი შოუებიც. სარეიტინგო შეხვედრებში მოკრივეებს საშუალება აქვთ მოიხვეჭონ ქულები, რათა საერთაშორისო რეიტინგში წინ წავიდნენ, ხოლო შემდეგში რომელიმე ქამრისთვისაც იბრძოლონ. ყველა მონაწილე, მიუხედავად ნაჩვენები შედეგისა, მიიღებს გარკვეულ თანხას. შეხვედრები ოთხრაუნდიანია, მაგრამ იმ შემთხვევაში თუ ორივე მოკრივე თანხმობას განაცხადებს ექვსრაუნდიან ბრძოლაზე, მაშინ შეხვედრაც ამ რეგლამენტით შედგება.

მორიგ სარეიტინგო ხუთ ორთაბრძოლაში გამარჯვებულები ქულებით წარმატებას დასჯერდნენ.

54 კილოგრამ წონით კატეგორიაში **ბექა საჯაიამ** (ზუგდიდი) დაამარცხა **თეიმურაზ საბაშვილი** (გორი) და პროფესიონალ რინგზე რიგით მე-12 გამარჯვება მიითვალა. ვარიანელმა **დიმიტრი გულიაშვილმა** (62 კგ) მოუგო გორელ **ბაჩო კვარაცხელიას.** იგივე წონაში ექვსრაუნდიან ბრძოლაში **ბესარიონ გოგლიძემ** (აფხაზეთი) გამარჯვება იზეიმა თბილისელ **გარი აბაჯიანთან.** მომდევნო (66) წონაში მოიგო ასევე აფხაზეთის წარმომადგენელმა **ალექსანდრე ბენიძემ,** მან დაამარცხა გორელი **გუგული აბაზაშვილი.** სარეიტინგო ბრძოლებში მრავალჯერ გამარჯვებულმა **შალვა ჯომარდაშვილმა** (72) ოსტატური ბრძოლით სძლია **ლევან შონიას.**

მორიგი ორთაბრძოლები მომავალ ხუთშაბათს უნდა გამართულიყო, მაგრამ გიორგობის დღესასწაულის დამთხვევის გამო, ორგანიზატორებმა იგი 30 ნოემბრისათვის გადაიტანეს. ამ დღეს რინგზე აზერბაიჯანელ მოკრივეებსაც ვიხილავთ.

ომარ ჩხაიძე.

დასკვნითი ეტაპი

ავტორბოლის მრავალი მოყვარული დაესწრო გასულ კვირას რუსთავის ცნობილ ავტოდრომზე, საგზატკეცილო წრიულ ავტორბოლაში საქართველოს ჩემპიონატის დასკვნით მე-4 ეტაპს.

განვლილი სამი ეტაპის ჯამით წარმატებასთან ახლოს იყვნენ ზურაბ ბეჟაშვილი და არჩილ ბიძინაშვილი. ორი ლიდერის პაექრობას მამუკა მელაძეც დაემატა. თავიდან 15 მონაწილის გამოსვლა იგეგმებოდა, მაგრამ სტარტზე მხოლოდ 9 მანქანა განლაგდა.

ამ დღის პირველი რბოლა არჩილმა მოიგო, მეორე იყო ზურაბი, მესამე — მამუკა, ხოლო მეოთხე — არჩილ ჩიქოვანი.

მეორე რბოლის წინ ეს ოთხეული ასე განლაგდა: ჩიქოვანი, მელაძე, ბეჟაშვილი, ბიძინაშვილი. რბოლის ნახევარი დისტანციის გავლის შემდეგ ჩემპიონობის პირველმა პრეტენდენტმა ბეჟაშვილმა სვლას უკლო და გაჩერდა კიდეც. ფინიშთან პირველი ჰონდა სივიკით არჩილ ბიძინაშვილი მივიდა, (ამ დღის ორივე რბოლა მოიგო და პირველი ადგილიც მას მიულოცეს. მეორეზე გავიდა მამუკა მელაძე, ხოლო მესამე იყო არჩილ ჩიქოვანი.

ქალების ორმაგი მარცხი

საქართველოს ქალ ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრები თურქეთის ქალაქ ადანაში მონაწილეობს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში. ჩვენმა ქალებმა უკვე ორი თამაში ჩაატარეს. პირველ შეხვედრაში ხორვატებთან დამარცხდნენ 0-6, გუშინ კი ჩრდილოირლანდიელებთან წააგეს 0-4. დასკვნით შეხვედრაში ქართველების მეტოქე თურქეთის ნაკრები იქნება 23 ნოემბერს.

საქართველოს ფარიკაობის ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ვეტერანი მოფარიკავე სპორტის ოსტატი
ნიკოლოზ (კოლია) ძიძიკაშვილი
და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

გზააბნეული ჩემპიონატი

საქართველოს ვაჟ ხელბურთელთა ეროვნულ ჩემპიონატის დასაწყისი მის ავტორიტეტს კარგს არაფერს უქადის. ტურნირი რამდენჯერმე გადაიდო ორგანიზაციული საკითხების, კერძოდ, ზოგიერთი გუნდის საშეჯიბრო თანხის გადაუხდელობის გამო. ბოლოს, გადაწყდა ჩემპიონატი სტარტს აუცილებლად აიღებდა 17 ნოემბერს „ქარიშხალა" — „იმედის" მატჩით. ამ შეხვედრას გლდანის ხელბურთის კომპლექსმა უმასპინძლა. თანაბარი ძალის მეტოქეების მატჩი დაძაბული გამოდგა. გარდამავალ უპირატესობაში სასურველი ტემპი ვერც ერთმა გუნდმა ვერ შეინარჩუნა. სწრაფვა გამარჯვებისკენ იმდენად მწვავე იყო, მატჩის მეორე ნახევარი სათამაშო დისციპლინის დარღვევის კასკადით აღინიშნა. საბოლოოდ ფრე — 26:26. აი, მეორე მატჩი სკა-ს დარბაზში „თბილისსა" და სტუ — „თელავს" შორის საერთოდ არ შედგა. მასპინძლები ამაოდ ელოდნენ თელაველებს. იქვე იყო მსაჯებიც, დელეგატებიც, ჟურნალისტებიც და, რაღა თქმა უნდა, გულშემატკივრებიც. გაოცებულმა მსმენელებმა ამომწურავი პასუხი თელაველთა მწვრთნელებისგან ვერ მიიღეს. ისინი თავად იყვნენ გაოცებულები (?!) მომხდარით. ხელბურთის ეროვნული ასოციაციის გენერალური მდივნის **ზურაბ კაკაბაძის** განცხადებით, მისთვის წინა დღის საღამოს უცნობებია გუნდის ხელმძღვანელობას, რომ გუნდს შეიძლება ვერ ეთამაშა მიზეზთა გამო. მიზეზები კი კაკაბაძისთვის უცნობია, თუმცა კარაგანდაა ცნობილი ის, რომ თელაველთა და თბილისელ სტუდენტთა გაერთიანებულ გუნდს დაწესებული თანხა ჯერაც არ გადაუხდია, მეტიც, განაცხადიც არ წარუდგენია ასოციაციაში. რა ხდება? განა შეიძლება ვინმემ ასე აბუჩად აიგდოს ეროვნული ჩემპიონატი?..

ირაკლი სალარიძე.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ფალავანი «სილის ხალიჩიდან»

გორის დასავლეთით სოფელ ტინისხიდს ზემოდან დაჰყურებს თრიალეთის ქედის ერთ-ერთ მწვერვალზე ცადაზიდული გორიჯვარის წმინდა სალოცავი.


გენო ყაზარაშვილი

ტინისხიდელია ქართული ჭიდაობის ძველი ოსტატი გენო ყაზარაშვილი. ამ გვარის ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელი თემო ყაზარაშვილი მსოფლიოს 1982 წლის ჩემპიონი და თასის მფლობელია ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. გენო ყაზარაშვილი კი გასული საუკუნის ორმოცდაათიან წლებში გამოდიოდა ჯერ ნახერხმოყრილ სარბიელზე, მერე კი გორის და არამარტო გორის ცირკში. მოგეხსენებათ, ადრე, ცირკში ჟონგლიორებისა და აკრობატების გარდა მოჭიდავეებიც გამოდიოდნენ...

სანამ გორში ცირკი აშენდებოდა, ქალაქის ცნობილ ბაღში იყო მოწყობილი ღია საჭიდაო მოედანი. შაბათ – კვირას და დღესასწაულებზე ზურნისა და დოლის ჰანგები ახმიანებდა აქაურ არემარეს.

სანამ გორის ბაღის საჭიდაოზე ისახელებდა თავს ტინისხიდელი ფალავანი გენო ყაზარაშვილი, მანამდე ტინისხიდში მტკვრის პირას სილაში ცდიდა მკლავისა და მუხლის მარიფათს. პატარა ბიჭები ძროხებს მწყემსავდნენ, შუადღისას კი მდინარის პირზე სილაში ჭიდაობას აჩაღებდნენ. ეს იყო 60-65 წლის წინათ...

სხვათა შორის, ორი წელიწადია ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციაში (ფილაში) მსჯელობაა დანერგონ თუ არა საერთაშორისო ტურნირებზე და ოფიციალურ პირველობებზე სილაში ჭიდაობა...

ტინისხიდელ ფალავნებს და მათ შორის გენო ყაზარაშვილს მწვრთნელი არ ჰყოლიათ. ერთადერთი კოლა ხოდელი იყო, რომელიც გორის გუნდს ხელმძღვანელობას უწევდა. ის პასუხისმგებელი იყო მოჭიდავეთა მგზავრობაზე...

გენო ყაზარაშვილი გორის სასოფლო – სამეურნეო ტექნიკუმში სწავლობდა. იქ მის ფიზიკურ მომზადებაზე ფიზკულტურის მასწავლებელმა ამირან ცხოვრებაძემ იზრუნა.

გორელი ქართულის მოჭიდავეები დღესაც და უწინაც ყოველთვის ლაზათიანად ჭიდაობდნენ. ორმოცდაათიან წლებში გორის ნაკრების წევრები მრისხანე მეტოქე იყვნენ ნებისმიერი რაიონისთვის. მაშინ გორელთა რიგებში ჭიდაობდნენ: ოთარ იორამაშვილი (ტინისხიდი), სულიკო კაკაშვილი (სკრა), თენგიზ ანიაშვილი (ტინისხიდი), არტაშა მიხანაშვილი (ატენი), გურამ პაპიტაშვილი (კირბალი), ძმები გუგული და გურამ ეგნატაშვილები (რუისი), ვახტანგ ნასყიდაშვილი (მეჯვრისხევი) და გენო ყაზარაშვილი (ტინისხიდი). გენო, როგორც გორელებს დასჭირდებოდათ ხან ქვემძიმეში, ხან კიდევ მძიმე წონაში ასპარეზობდა.

ტინისხიდელი ფალავანი გენო ყაზარაშვილი წარმატებით გამოდიოდა სხვადასხვა სპორტსაზოგადოებების და საქართველოს პირველობებზე. გარე და შუაფეხის ოსტატს დიდი მეტოქეობა ჰქონდა ცნობილ ფალავან ბათუ თედეევთან.

დღეს 75 წლის გენო ყაზარაშვილს რომ შეხედავთ, მოქმედი მოჭიდავე გეგონებათ. დაკუნთული კისერი, მსხვილი მაჯები და ენერგიული მიხვრა-მოხვრა ახალგაზრდულ იერს უბრუნებს ნაცად ფალავანს. სხვათა შორის, გენოს პაპა ნიკა ყაზარაშვილიც კარგი მოჭიდავე ყოფილა. თავად წერეთელს დაჰყავდა თურმე საჭიდაოდ...

ამბობენ, იოსებ სტალინს მოსკოვში უნდოდა ექცირა ქართული ჭიდაობისთვისო და ამისათვის ქართული ჭიდაობის გამოჩენილი ოსტატები ძმები თენგიზ და მურთაზ ელერდაშვილები, სიმონ მაისურაძე, ზაქარია მუხიაშვილი და გორელი გენო ყაზარაშვილი შეარჩიეს. მაგრამ სტალინი 1953 წელს გარდაიცვალა და ეს განზრახვაც ჩაიშალა...

აგრონომ გენო ყაზარაშვილის გარდა კარგი მოჭიდავეები იყვნენ ტინისხიდიდან მიხეილ ბერელაშვილი და კოწია ბურძენაძე. მართალია, დღეს გენოს მსგავსი ფალავნები ნაკლებად არიან ტინისხიდში, მაგრამ დიდი იმედია, რომ აუცილებლად იქნებიან, რადგან სოფელ ტინისხიდის გამგებელმა, გენოს ვაჟმა, ალიკა ყაზარაშვილმა სოფლის ცენტრში ნაძვნარში საჭიდაო მოედანი მოაწყო სკამებით. აქაურმა ყმაწვილებმაც მოუხშირეს ნახერხზე ჭიდილს...

გაბრიელ ბარჯაძე.

სპორტული ტერმინოლოგია

ერთი ქართული ტერმინის დასამკვიდრებლად!

მინდა შემოგთავაზოთ ერთი სპორტული, კერძოდ, საფეხბურთო ტერმინი, რომლის დამკვიდრებაც ფრიად სასურველად მიმაჩნია. ეს არის რუსული **подкат**-ის ფარდი ცნება — ჩახტომი.

ამ სიტყვას ქართული სპორტული ტერმინოლოგიისათვის მისაღებად, მართებულად ვთვლი ლექსიკოლოგიურადაც (უფრო სწორად, სემასიოლოგიურადაც — ვგულისხმობ მის შინაარსობრივ დატვირთვას) და გრამატიკულადაც.

შევეცდები ჩემს ამ შეხედულებას მოკლე თეორიული ახსნა-განმარტება დავურთო. ეს მით უფრო საჭირო მგონია, რადგან ამ რუსულ ტერმინს, სამწუხაროდ, დღემდე ვერ მოეძებნა ქართული შესატყვისი. ხან როგორ გადმოსცემენ მას (მის შესაბამის მოქმედებას) და ხან როგორ.

მაშ, ასე — **ჩახტომი.** ეს სიტყვა ამ ფორმით საერთოდ არ გვხვდება (თუმცა, ფართოდაა გავრცელებული **ნა** წინსართით წარმოებული **ნახტომი**) და, ბუნებრივია, ესეც გვაძლევს მისი აქტიურ ლექსიკურ ფონდში შეტანის უფლება-შესაძლებლობას.

ჩახტომი — გრამატიკულად ნახმარი სახელია, მისი ამოსავალი ფორმაა ხტის ზმნისაგან წარმოებული საწყისი: **ხტის** ‡ ხტ — ომ — ა (ისევე, როგორც, ვთქვათ, დგას ‡ დგ — ომ — ა). ე.ი.: ამ ზმნის (ხტის) ფუძესა და საწყისის ნიშანს შორის ჩნდება ინფიქსი ომ და მიიღება ხტ-ომ-ა. ეს ე.წ. ო — იანი საწყისია. ასეთი ზმნები ყველა გარდაუვალია და საშუალი ან ვნებითი გვარისაა: ვკრთები ‡ კრთ — ომ-ა; მინდა ‡ ნდ — ომ — ა; ვსკდები ‡ სკდ — ომ — ა; ვტყდები ‡ ტყდ — ომ — ა; ვწვდები — წვდ — ომ — ა; ვშვრები — შრ — ომ — ა. ვცდები ‡ ცდ — ომ — ა; ვწყრები ‡ წყრ — ომ — ა; ვჯდები ‡ ჯდ — ომ- ა; ვხტები ‡ ხტ — ომა- ა და სხვ. ამ უკანასკნელზე ჩა ზმნისწინის დამატებით და საწყისის მაწარმოებელ **ა** — ს ნაცვლად სახელობითი ბრუნვის ნიშნის **ი** — ს დართვით მიიღება სახელად ქცეული, გასუბსტანტივებული ფორმა — **ჩახტომი.** სახელების ასეთი, როგორც წინსართიანი, ისე უსართო წარმოება სპორტული ტერმინოლოგიისათვის უცხო არ არის (შდრ.: ჩაბუქნი, ჩაჯდომი; არეკნი, ატაცი, აზიდი, აჭიმი; ბიჯი, თამაში, დგომი, ბრუნი, ბჯენი და მისთ.).

ამ ფორმებს შენარჩუნებული აქვს ის ზმნური კატეგორიები, რომლებიც სათანადო საწყისს გააჩნია: მიმართულება, ორიენტაცია, ასპექტი, კონტაქტი, გვარი, ხოლო ზოგჯერ საწყისისაგან განსხვავებით — დროც. ჩვენთვის საინტერესო ფორმა — ჩახტომი — მეტნაკლებად გამოხატულად მოიცავს ამ კატეგორიებს. მაგალითად, **ჩა** ზმნისწინი მას ანიჭებს, მიმართულებას ზევიდან ქვევით და ამავე დროს იქით, სადაც არ ვართ. მაშასადამე, **ჩახტომი.** მიმართული გეზის (მიუმართავის საპირისპიროდ) მქონე ნაზმნარი სახელია. ასევე დამახასიათებელია მისთვის აქ მოყვანილი სხვა კატეგორიებიც. თავისთავად, მას აქვს სახელის კატეგორიებიც (იბრუნვის, წინადადებაში შეუძლია შეასრულოს ქვემდებარის, დამატების ფუნქციები...). აქედან, თამამად შეიძლება ითქვას: გრამატიკულად **ჩახტომი** სრულიად გამართული ფორმაა.

სემასიოლოგიური თვალსაზრისით კი ყველასათვის ცნობილია, რომ „ჩავუხტეთ ბარათაშვილსა, თავს დავანგრიოთ ბანია“ და, საერთოდ, „მიუხტა“, „დაახტა“ ცალსახად გამოხატავს ძალადობას. აქედან, ჩახტომიც გარკვეული აგრესიის შემცველი ცნებაა, რაც ასევე ამართლებს ჩვენს შემოთავაზებას.

ე.ი. ეს სიტყვა — ჩახტომი — ალჭურვილია როგორც გამოხატული ზმნური, ისე სახელის კატეგორიებით. ამასთან, აქვს სათანადო შინაარსობრივი დატვირთვაც, რის წყალობითაც იგი შეიძლება ჩვენთვის სასურველი მნიშვნელობით გამოვიყენოთ.

ამიტომ, ვფიქრობთ, რომ ის გამოდგება იმ მოქმედების (ილეთის, ხერხის) აღმნიშვნელად, რომელსაც ფეხბურთელები მიმართავენ, როცა -подкат-ით მოწინააღმდეგისათვის ბურთისართმევა უნდათ.

დავამატებდით, რომ, თუ მაინცდამაინც თარგმანზე მიდგება საქმე, ჩახტომი ზედმიწევნით ესადაგება კონტექსტს: „Чисто выполнил подкат“ — „სუფთად შეასრულა ჩახტომი“. მეტიც, რუსული подкат სიტყვასიტყვით მიგორებას ნიშნავს. ამიტომ, მიგვაჩნია, რომ ნაგულისხმევი სიტუაციისათვის ქართული ტერმინი **ჩახტომი** უფრო მორგებულია, ვინაიდან იგი აღნიშნავს, რომ ამ მოძრაობის შემსრულებელი ქვეშ კი არ მოექცა (შეუგორდა) მოწინააღმდეგეს, რაც რუსულ ტერმინში იგრძნობა, არამედ **სპორტსმენმა შეასრულა მოძრაობა ზევიდან ქვევით და გარკვეული აგრესიით.**

ფეხბურთის ჩვენს კომენტატორებს (და არა მარტო მათ) ვთხოვთ გულისხმიერად მოეკიდონ ამ შეთავაზებას, ვინაიდან იგი ესოდენ აუცილებელი და სათუთი ფენომენის — ქართული სპორტული ტერმინოლოგიის დახვეწა-გამდიდრების სურვილითაა ნაკარნახევი.

ცხადია, მათ გამოხმაურებას დიდი ინტერესით ველოდებით.

გურამ ხანდამიშვილი,
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.

დევიზი: ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება!

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნულ თავდაცვითი სპორტულ — ტექნიკური და ტურიზმის ცენტრალური სასპორტო სკოლა (დირექტორი **მამუკა ყლაჯეიშვილი**) ნაყოფიერ მუშაობას ეწევა მოსწავლე — ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებისათვის და, რაც მთავარია, ზრუნავს ახალგაზრდობას შეასწავლოს და გაწვრთნას თავდაცვით ტექნიკურ სახეობებში, ჩაუტაროს საინტერესო სპორტული შეჯიბრებები. რიგითი ასეთი ღონისძიება — ქ. თბილისის ღია პირადი პირველობა ტყვიით სროლაში (პნევმატური იარაღიდან) გაიმართა თბილისის პოლიტექნიკური კოლეჯის (დირექტორი **კახა ბაბილოძე**) სასროლ ტირში. მონაწილეობდნენ ქ. თბილისის პოლიტექნიკური კოლეჯის, დამოუკიდებელ უნივერსიტეტ „იბერიას“, რკინიგზის ინსტიტუტის, მოსე თოიძის სახელობის სამხატვრო ლიცეუმის, გეოდეზიის კარტოგრაფიის და სოხუმის მრავალდარგოვანი კოლეჯების სპორტსმენები. ვაჟებში პირველ ადგილზე გავიდა **ნოდარ ჩალაძე,** მეორეზე — **გიორგი ცარციძე** (ორივე — თბ. პოლიტექნიკური კოლეჯი), მესამეზე — **ნოდარ ქობელაშვილი** (გეოდეზიის და კარტოგარფიის კოლეჯი). გოგონებში პირველი იყო **ლია ელიზბარაშვილი,** მეორე — **ია ჩაბრაშვილი** (ორივე — თბ. პოლიტექ. კოლეჯი), მესამე — მადონა მახლოური (სოხუმის მრავალდარგოვანი კოლეჯი).

ომარ ჩხაიძე.

კოტე მახარაძის მემორიალზე

პარასკევს, სპორტის სასახლეში ფინალური მატჩებით დასრულდა ცნობილი სპორტული კომენტატორის და მსახიობის **კოტე მახარაძის** სახელობის თასის მეექვსე გათამაშება. მინიფეხბურთის საერთაშორისო ტურნირში საქართველოდან და აზერბაიჯანიდან ჭაბუკთა 48 გუნდი მონაწილეობდა. ცალკე იყო წარმოდგენილი ამიერკავკასიის ნაკრები. ტურნირი სამ ასაკობრივ ჯგუფში მიმდინარეობდა.

1994 წლიანებში კ. მახარაძის თასი „ირაომ“ მოიპოვა, რომელმაც ფინალში 35-ე სკოლის გუნდი 2-0 დაამარცხა. მესამე ადგილისთვის მატჩში „მიმინომ“ „შევარდენს“ მოუგო ასევე 2-0.

1993 წლიანების ფინალში „იბერიამ“ „სკალდის“ პენალტების სერიაში 4-2 აჯობა და თასს დაეუფლა. მესამე ადგილზე ბათუმის „ლუკა“ გავიდა. ზღვისპირელებმა 4-1 აჯობეს ზუგდიდის „დინამოს“.

1992 წელს დაბადებულ ჭაბუკებს შორის გამართული პაექრობა „დინამომ“ მოიგო, რომელმაც ფინალში „მერანს“ სძლია 4-1. მესამე ადგილი ბაქოს „ნეფთჩის“ ერგო, რომელმაც „მართვე“ დაამარცხა 3-1.

გამარჯვებულ გუნდებს თასები და პრიზები კ. მახარაძის ოჯახის წევრებმა, მეუღლემ, ცნობილმა მსახიობმა **სოფიკო ჭიაურელმა** და შვილიშვილმა, უმცროსმა **კოტე მახარაძემ** გადასცეს.

დაჯილდოვდნენ საუკეთესო ფეხბურთელებიც. მათ საპატიო პრიზები და სამახსოვრო საჩუქრები მიიღეს. ტურნირს კ. მახარაძის მეგობრები, კოლეგები და მრავალი ცნობილი ადამიანი დაესწრო. ჭაბუკთა ასპარეზობას ასევე დაესწრო უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი **ბორის ვოზნესენსკი.**

კოტე მახარაძის სახელობის თასის გათამაშება მომავალშიც გაიმართება და მასშტაბებიც და გეოგრაფიაც შეიძლება გაიზარდოს.

„ირაოს“ საფეხბურთო მოედანზე კი რამდენიმე დღით ადრე დასრულდა კოტე მახარაძის სახელობის ტურნირი, რომელშიც ჟურნალისტები და ვეტერანი ფეხბურთელები მონაწილეობდნენ. ფინალში თბილისის „დინამოს“ ვეტერანებმა 4-2 დაამარცხეს ტელეკომპანია „რუსთავი2“-ის გუნდი და საპატიო პრიზიც დამსახურებულად მოიპოვეს.

იბერია-93

ფოტო ელდარ მალხაზიშვილისა

მარცხნიდან: 1 რიგში — გიორგი კობოსნიძე, ზურა ბერიანიძე, ლევან კოშაძე (საუკეთესო თავდამსხმელი), კოკა ნიქაბაძე, ლაშა ბიბილაშვილი, სერგო ქავთარაძე (საუკეთესო ნახევარმცველი), საბა ბაყაშვილი, ლაშა ბელითაური;

დგანან — გიგა გიგაური, შალვა ყურაშვილი, ნიკა ბახროშვილი, ნოდარ თურქაძე, გიორგი ყაველაშვილი (მწვრთნელი გუჯა გუხიტაშვილი), ხვიჩა აბაშიძე, ოთარ ხუციშვილი და მიშიკო ხაჩიძე.

წიგნის თარო

ჩვენში ყველაზე მეტი სპორტული გამოცემა, გნებავთ საგაზეთო თუ საჟურნალო სტატია ქართველ ფალავნებს ეძღვნება და ეს სულაც არაა გასაკვირი. ჭიდაობაში სხვადასხვა რანგის ასპარეზობებში მოპოვებული მედლების სათვალავით საქართველოში სპორტის ამ სახეობას ბადალი არ ჰყავს. საერთაშორისო სტატისტიკით კი ჩვენი ქვეყანა ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ საჭიდაო ქვეყნადაა აღიარებული მთელ მსოფლიოში. და აი, ამ დღეებში, კიდევ ერთ ქართველ ლეგენდარულ ფალავანზე ახალი გამოცემა შეემატა ქართველი მკითხველის წიგნის თაროს. ესაა მაღალპოლიგრაფიულ დონეზე დასტამბული წიგნი „ფალავანთფალავანი“, რომელიც **გივი კარტოზიას** ეძღვნება.

პოლიგრაფიული დონე ერთია, მაგრამ მთავარია თვით გამოცემის შინაარსი. შეიძლება მოკლედ ითქვას: ესაა სიყვარულით დაწერილი წიგნი საყვარელ ფალავანზე. ამ სიყვარულის გამოვლენაში კი თითქოს ერთმანეთს გაჯიბრებიან სხვადასხვა პროფესიის ადამიანები, რადგან გივი კარტოზია ქართველი ინტელიგენციის უსაყვარლესი პიროვნება გახლდათ. ის იყო ვაჟკაცობის და რაინდობის ამაღლებულ სულში გამოვლენა. გივი კარტოზია ჩვენი ზნეობრივი გმირი იყო ამ სიტყვის ფართო გაგებით.

წიგნის პრეზენტაცია გასულ შაბათს გაიმართა „ქარავანში“. ჩვენი საზოგადოებრიობის ცნობილმა ადამიანებმა, გ. კარტოზიას მეგობრებმა, ახლობლებმა საინტერესო ამბები გაიხსენეს ფალავანთფალავანის ცხოვრებიდან. წიგნის პრეზენტაციას უძღვებოდა ნიჭიერი ქალბატონი, კარტოზიების გვარის ღირსეული წარმომადგენელი **მანანა კარტოზია,** რომელიც ამ მშვენიერი წიგნის გამოცემის პროექტის ავტორია.

მწერალი **ნუგზარ შატაიძე** შესავალ წერილში წერს: „ძველ ელადაში ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვებულებს, როგორც წესი, ძეგლს უდგამდნენ. ერთგვარი ძეგლია სიყვარულით გამთბარი ეს წიგნიც, რომლის ავტორები გივის უახლოესი მეგობრები და თაყვანისმცემლები არიან“. წიგნი იხსნება **ლერი ხაბელოვის** და **კახა გეწაძის** შესავალი წერილებით, რასაც მოსდევს „**ჭაბუა ამირეჯიბის, ოთარ მეღვინეთუხუცესის, ბიძინა კვერნაძის, გურამ ლორთქიფანიძის** და **გიგა ლორთქიფანიძის** სეფე სიტყვები. სპორტსმენების, მეგობრების, თაყვანისმცემლების, თანაგუნდელების, ახლობლების და შვილიშვილების მოგონებები, ადრე გამოქვეყნებული პუბლიკაციები“.

ფალავანთფალავანი
გივი კარტოზია

წიგნის ხერხემალს წარმოადგენს წერილი „სპორტული გზა“.

წიგნი, რომელიც დღეისათვის სოლიდური ტირაჟით (2000 ეგზემპლარი) გამოვიდა, ძვირფასი საჩუქარია არა მხოლოდ იმათთვის, ვინც ამ ლეგენდარულ პიროვნებას ახლოს იცნობდა, არამედ მომავალი თაობებისთვის, რომლებისთვისაც იგი სამარადჟამოდ დარჩება ზნეობრივ გმირად.

საუბრები სპორტის ისტორიაზე

ქართული სპორტი 1961-1970 წლებში

1963 წლის იანვარში ცნობილი გახდა 1962 წლის ჩემპიონატის შედეგებით ფეხბურთში სსრ კავშირის 33 საუკეთესო ფეხბურთელის ვინაობა. რჩეულთა შორის საქართველოდან მოხვდნენ თბილისის „დინამოს“ მოთამაშეები: პირველ ნომრად — მიხეილ მესხი და გივი ჩოხელი, მესამე ნომრად — სერგო კოტრიკაძე, გიორგი სიჭინავა და შოთა იამანიძე. ეს ფაქტი განსაკუთრებით აღინიშნა თბილისში, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში გამართულ საზეიმო შეხვედრაზე. იმ დღეს თბილისის საზოგადოებრიობამ შეხვედრა მოუწყო თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდს წინა წელს საკავშირო გათამაშებაში ბრინჯაოს მედლების მოპოვებასთან დაკავშირებით. იქვე გამოცხადდა, რომ სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება მიენიჭა სსრ კავშირის ნაკრების ყოფილ მოთამაშეს ზაურ კალოევს.

1963 წელს მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ გურამ სალარაძე (თავ. ჭიდაობა), როსტომ აბაშიძე (ბერძ. რომაული ჭიდაობა), მეორე ადგილი ხვდათ წილად ზარიბეგ ბერიაშვილს (თავ.ჭიდაობა), ნუგზარ ასათიანს (ფარიკაობა, ხმალი, გუნდური), ნონა გაფრინდაშვილს (ჭადრაკი, გუნდური), მესამე იყო გურამ კოსტავა (ფარიკაობა, დაშნა, პირადი). ევროპაში უძლიერესის სახელი დაიმკვიდრა ანზორ კიკნაძემ, მეორე პრიზიორი გახდა ანზორ ქიბროწაშვილი (ორივე — ძიუდო), სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედლები დაიმსახურეს ვლადიმერ რუბაშვილმა და ზარიბეგ ბერიაშვილმა (ორივე — თავ. ჭიდაობა) ომარ ეგაძემ და რომან რურუამ (ორივე — ბერძ. რომაული ჭიდაობა), ზაქრო მუხიაშვილმა და ანზორ კიკნაძემ (ორივე — სამბო). ომარ ფხაკაძემ (ტრეკი, სპრინტი), მანვე მოიგო სსრ კავშირის თასი იმავე პროგრამაში). სსრ კავშირის თასი მოიპოვა ხმლით ფარიკაობაში მორის სახვაძემ. თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა საქართველოს ნაკრები II გუნდურ ადგილს დაეუფლა სსრ კავშირში. გუნდური ასპარეზობის მეორე პრიზიორი გახდა ხმლით ფარიკაობაში ნ. ასათიანი. გურამ კოსტავა კი ვერცხლის მედალს დაეუფლა დაშნით ფარიკაობაში.

1963 წლის უპირველესი კომპლექსური სპორტული ღონისძიება იყო სსრ კავშირის ხალხთა რიგით III სპარტაკიადა, რომელსაც, ისევე როგორც ორ წინამორბედს, მოსკოვმა უმასპინძლა. ფინალურ ასპარეზობას, როგორც წესი, წინ უსწრებდა ეტაპობრივი შეჯიბრებები მოკავშირე რესპუბლიკებში. საქართველოს სპორტული დელეგაცია, ბუნებრივია, დაკომპლექტდა რჩეულთა შორის რჩეული სპორტსმენებით. ამ დროს უკვე მთელ მსოფლიოში იცნობდნენ საქართველოს სახელოვან ათლეტებს, რომლებმაც ხალხთა სპარტაკიადაშიც ბრწყინვალედ იასპარეზეს. ოქროს — 6, ვერცხლის — 13 და ბრინჯაოს 15 მედალი, — ასეთი იყო საერთო მონაგარი, რაც დიდად აღემატებოდა ადრე გამართულ ანალოგიურ ასპარეზობებში მოპოვებულ ჯილდოებს. მატება კი საქართველოში სპორტის აღმავლობის ყველაზე ნიშანდობლივი დასტური იყო. საერთო გუნდურ ჩათვლაში საქართველო კვლავ V ადგილზე გავიდა მოსკოვის, უკრაინის, რსფსრ-ის, ლენინგრადის და ბელარუსის შემდეგ. საქართველოდან სპარტაკიადის ჩემპიონები გახდნენ: ომარ ეგაძე, რომან რურუა (ორივე — ბერძ.რომაული ჭიდაობა), ვლადიმერ რუბაშვილი, ზარიბეგ ბერიაშვილი (ორივე — თავ. ჭიდაობა), ომარ ფხაკაძე (ველოტრეკი) და ლილიანა ჟურული (ტყვიით სროლა). ვერცხლის მედლებს დაეუფლნენ: დავით გვანცელაძე (ბერძ. რომაული ჭიდაობა), ალექსანდრ შჩერბინა (მძლეოსნობა), ბორის პოლულიახი (წყალხტომა), ალექსანდრ სტროევი, (ტყვიით სროლა), ალექსანდრე მეტრეველი (ჩოგბურთი), ირინა ერმოლოევა (ჩოგბურთი, ქალთა ერთეულში და ქალთა წყვილში), ართავაზ ქოლოკიანი (ძალოსნობა), ნუგზარ მძინარიშვილი და ალექსანდრე მეტრეველი (ჩოგბურთი, ვაჟთა წყვილი), თავისუფალ მოჭიდავეთა გუნდი (ზაურ შეყრილაძე, ზაურ მჭედლიშვილი, ვლადიმერ რუბაშვილი, ზარიბეგ ბერიაშვილი, გურამ სალარაძე, შოთა ლომიძე, ნუგზარ გოგიბედაშვილი, ანზორ კიკნაძე), ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეთა ნაკრები (არჩილ ხარაბაძე, ომარ ეგაძე, რომან რურუა, დავით გვანცელაძე, კონსტანტინე ლულუნიშვილი, ომარ ბლიაძე, როსტომ აბაშიძე, თეიმურაზ ხითარიშვილი), ტყვიით მსროლელთა გუნდი (რაფაელ ანანიკიანი, შოთა ქველიაშვილი, ვიქტორ პანკოვი, ალექსანდრ სტროევი), წყალბურთელები (ლევან გიორგაძე, ლერი გოგოლაძე, ზურაბ ლომიძე, ბორის მარგიევი, ბორის მეგედი, ოთარ მიმინოშვილი, ვიქტორ რომანოვი, ვასილ სანაძე, გივი ჩიქვანაია, ირაკლი ჩხიკვაძე, ჯუმბერ წიკლაური). საქართველოს ნაკრებმა ტაჯიკებს მოუგეს — 10:1, უკრაინელებს — 4:3, ყირგიზებს — 7:2, მოლდოველებს — 8:4, ლატვიელებს 10:1, ლენინგრადელებს — 3:1, აზერბაიჯანელებს — 3:2, რსფსრ-ს — 4:3 და მხოლოდ მოსკოველებთან დამარცხდნენ 0:2.

სპარტაკიადის ბრინჯაოს მედლებს დაეუფლნენ: ნოდარ ქიქავა (კრივი), შოთა ქველიაშვილი (ტყვიით სროლა), დავით მუშკუდიანი (ძალოსნობა), იური ოსიპოვი (ფარიკაობა), თეიმურაზ ხითარიშვილი (ბერძნ. რომაული ჭიდაობა), ჯიმშერ ხოაბაევი (ნიჩბოსნობა), მიხეილ კოლუშევი და ალექსი კოლუშევი (ველოტრეკი), წყვილთა რბოლა — იური იუხნევიჩი და დიმიტრი ბათაშვილი (ველოტრეკი, ტანდემი), ზაურ შეყრილაძე (თავ. ჭიდაობა), ბორის ნიკიტინი, იური ფომენკო, ესმა ლიბრაძე (სამივე — ცურვა). ამავე სახეობაში (კომბინირებული ესტაფეტა 4X100მ) ასევე მესამე ადგილზე გავიდა საქართველოს ვაჟთა ოთხეული (ბორის კამენსკი, ბორის ნიკიტინი, ალექსანდრე ტუტაკაევი, იგორ გიორგობიანი). ასევე მესამე საპრიზო ადგილი ხვდა წილად საქართველოს ქალ მოფარიკავეთა გუნდს რაპირაში (ჯულიეტა გიორგაძე, ლიანა შეყრილაძე, ლილი კოხრეიძე, ზეინაბ ლორთქიფანიძე, მიმი სვანიძე) და ვაჟ ფრენბურთელთა ნაკრებს (ნიკოლოზ მუსხელიშვილი, იაგო მიხენაშვილი, ვლადიმერ გავრილენკო, ლეონიდ ჟიგულინი, ვაჟა კაჭარავა, თამაზ კუჭავა, ედუარდ ობიდკო, დავით გოცირიძე, როლანდ გონგაძე, სტანისლავ ბუინოვი, ნიკოლოზ ტრინდაფილიდი). მატჩების სტატისტიკა ასეთია თურქმენეთთან — 3:0, ყირგიზეთთან — 3:0, რსფსრ-სთან — 3:2, ბელარუსთან — 3:1, უკრაინასთან — 3:0, მოსკოვთან — 1:3, ყაზახეთთან — 3:1, ლენინგრადთან — 2:3.

საქართველოს გუნდიდან თავი განსაკუთრებით გამოიჩინა ვაჟა კაჭარავამ, რომელმაც მყარად დაიმკვიდრა საბჭოთა კავშირის ნაკრებში ადგილი. ქვეყნის უძლიერესი ფრენბურთელებისგან დაკომპლექტებულ ამ გუნდს ერთ-ერთ საუკეთესოდ მიიჩნევდნენ, როგორც ევროპაში, ისე მსოფლიოში და სპეციალისტები წარმატებას უწინასწარმეტყველებდნენ 1964 წლის ტოკიოს ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებში.

1963 წელს თბილისში გაიმართა არაერთი მაღალი რანგის ასპარეზობა. საქართველოს დედაქალაქში დიდი ინტერესით ჩამოდიოდნენ სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენლები საასპარეზოდ. იმ წელს თბილისში საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრები ჩატარდა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ჯერ ქართველ და იუგოსლაველ, შემდეგ, თავისუფალ ჭიდაობაში ცალცალკე პოლონელ, ირანელ და იაპონელ ფალავნებთან. ძიუდოში სსრ კავშირისა და იაპონიის ნაკრებებს შორის ამხანაგური მატჩიც თბილისში შედგა. დიდი უპირატესობით (8:1) გაიმარჯვეს სპორტის ამ სახეობის მამამთავრებმა. თბილისში ჩატარდა სსრ კავშირისა და რუმინელ ვაჟ ხელბურთელთა ამხანაგური მატჩიც. საქართველოს ნაკრები გუნდის წყალბურთელებმა რუმინელებს, სტუდენტთა ნაკრებმა იუგოსლაველ კოლეგებს, ხელბურთელებმა კი ჩეხოსლოვაკიელებს უმასპინძლეს. გარდა ფეხბურთისა, თბილისში გაიმართა სსრ კავშირის ჩემპიონატების მატჩები წყალბურთში, ხელბურთში, რაგბში, სამბოში, აკრობატიკაში, „იმედის თასზე“ საკავშირო გათამაშების ფინალური ეტაპის შეხვედრები და ა.შ.

1963 წელს მთელ კავშირში საზეიმოდ აღინიშნა საბჭოთა ალპინიზმის 40 წლისთავი...

თენგიზ ბაჩეჩილაძე.

გაგრძელება იქნება.

დასაწყ. „ლელო“ №56-დან.

მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავები

«ოქროს ცაცია»



დიდი გულისტკივილით შევიტყვე ლეგენდარული უნგრელი ფეხბურთელის **ფერენც პუშკაშის** გარდაცვალების შესახებ.

მისი სახელი 50-60-იან წლებში ქუხდა მსოფლიო სტადიონებზე. იგი სავსებით სამართლიანად განეკუთვნებოდა ყველა დროის მსოფლიო საუკეთესო ფეხბურთელთა ლეგიონს. ის იყო არა მარტო უნგრული და ესპანური, არამედ მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთი ყველაზე უფრო კაშკაშა ვარსკვლავი.

ვისაც თვალი გადაუვლია მსოფლიო ფეხბურთის ისტორიისათვის, შეუძლებელია არ სმენოდა უნგრეთის „დიდი გუნდის“ შესახებ, რომელიც პირდაპირ ბრწყინავდა მსოფლიო სტადიონებზე 40-იანი წლების მეორე და 50-იანი წლების პირველ ნახევარში. მას სპეციალისტებმა ტყუილად კი არ შეარქვეს „დიდი გუნდი“. ეს იყო ჭეშმარიტ ტალანტთა საკრებულო: დიულა გროშიჩი, იოზეფ ბოჟიკი, შანდორ ჰიდეგუტი, შანდორ ბოჩიში, ციბორი, ზაქარაში, ლორანტი და რა თქმა უნდა, შეუდარებელი ფერენც პუშკაში. ის თვით ამ ვარსკვლავთა შორის ერთ-ერთი გამორჩეული, თვალსაჩინო, კოლორიტული ფიგურა იყო. ის იყო არა მარტო უებრო გოლეადორი, არამედ, ურთულესი და ულამაზესი კომბინაციების გათამაშების უბადლო დიდოსტატი. მის თამაშს ფეხბურთის გულშემატკივართა მრავალრიცხოვანი არმიისათვის უდიდესი ესთეტიკური სიამოვნება მოჰქონდა. ფერენც პუშკაში, ლეგენდარულ **იოზეფ ბოჟიკთან** ერთად, იყო უნგრეთის ნაკრების შეტევის მთავარი ორგანიზატორი, სული და გული, გუნდის ტვინი.

ეს იყო უნგრული ფეხბურთის ოქროს ხანა. 1952 წელს უნგრელები ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ. მათ ფინალში იუგოსლავიის ნაკრები დაამარცხეს, ხოლო 1954 წელს მსოფლიოს მეხუთე ჩემპიონატზე ფინალამდე მიაღწიეს და გზად უბრწყინვალეს საფეხბურთო სპექტაკლში მეოთხედფინალში ჯერ ტყავის ბურთის ჯადოქრებს ბრაზილიელებს სძლიეს, მერე კი ნახევარფინალში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონებს ურუგვაელებს აჯობეს. ორივეჯერ ანგარიშით 4-2 გაიმარჯვეს (პუშკაშს ეს ორი მატჩი არ უთამაშია ტრავმის გამო). მაგრამ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებთან დრამატულ ფინალურ მატჩში უეცრად ფეხი დაუცდათ და უნებლიე მარცხი იწვნიეს — 2-3. უნგრეთის ნაკრების წარმატებებში „ლომის წილი“ უნგრული ფეხბურთის ლეგენდას ფერენც პუშკაშს მიუძღვის.

1956 წელს უნგრეთში დატრიალებულმა ტრაგიკულმა მოვლენებმა ორად გაყო ფერენც პუშკაშის ცხოვრება. უნგრული ეპოპეა დასრულდა. საბჭოთა კავშირში და სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში იგი პერსონა-ნონგრატად გამოცხადდა, მაგრამ ამ ადმინისტრაციულ ღონისძიებებს არაფრის შეცვლა არ შეეძლო. მის სახელს დავიწყება არ ეწერა.

დისკვალიფიკაციის შემდეგ მისმა სახელმა ახალი ძალით გაიჟღერა სახელგანთქმულ მადრიდის „რეალში“. მას თითქოს მეორე სუნთქვა გაეხსნა. იწყება მადრიდული ეპოპეა. იმდროინდელი „რეალი“ მართლაც მრისხანე ძალა იყო. ეს იყო შეტევაზე ორიენტირებული გუნდი, რომელსაც ჰყავდა პირველხარისხოვანი შემსრულებლები, მეგავარსკვლავები. მარჯვნივ ლეგენდარული **რაიმონ კოპა**, „ფეხბურთის ნაპოლეონი“, „მუსიე მილიმეტრი“. ცენტრში ლეგენდარულ, **დიდი, ალფრედო დი სტეფანო.** მისი მეწყვილე თავდასხმის ცენტრში იყო ფერენც პუშკაში, მარცხნივ ლეგენდარული **ფრანჩესკო (პაკო) ჰენტო.** თავდასხმის ეს ოთხეული მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო იყო. ვფიქრობთ, მრავლისმეტყველია, რომ პუშკაშმა „რეალის“ ძირითადი შემადგენლობიდან არგენტინული ვარსკვლავი „რეალი“ ამოაგდო.

თითქმის 40 წელს მიტანებული იყო, როდესაც მწვანე მინდორს საბოლოოდ დაემშვიდობა. მისი ხანგრძლივი თამაშით ფეხბურთს არაფერი არ წაუგია, მხოლოდ ბევრი მოიგო. ტალანტებს მოფრთხილება უნდა, ნაადრევად ჩამოწერა გამართლებულად არ მიგვაჩნია.

თითქმის ორმოცი წლის წინათ მქონდა ბედნიერება ტელევიზიით მეხილა და დავმტკბარიყავი ამ განუმეორებელი ფეხბურთელის მომხიბლავი თამაშით. ეს იყო შორეულ, 1965 წლის 28 აპრილს ლეგენდარული ინგლისელი ფეხბურთელის **სტენლი მეტიუზის** გამოსათხოვარი მატჩის დროს. მისი მშობლიური კლუბი „სტოკ სიტი“ ხვდებოდა ევროპის ნაკრებს, რომლის რიგებშიც მეათე ნომრით ბრწყინავდა ფერენც პუშკაში. გასაგებ მიზეზთა გამო, კომენტატორი არ ასახელებდა მის გვარს, მაგრამ სწორედ ეს მეათე ნომერი იყო მოედანზე ერთ-ერთი ყველაზე უფრო გამორჩეული. მე მონუსხული ვუყურებდი მას. სხვათა შორის, ეს იყო ჩემი პირველი შეხება ევროპული ფეხბურთის ვარსკვლავებთან, შემდგომში ბევრმა წყალმა ჩაიარა, მსოფლიო ფეხბურთის ყველა ვარსკვლავის თამაში ვიხილე არაერთხელ, მაგრამ ის პირველი შთაბეჭდილება დღემდე არ გამნელებია. თუ მეხსიერება არ მღალატობს, ეს მატჩი ევროპის ნაკრებმა მოიგო 6-4. ორი გოლი ვგონებ პუშკაშმა გაიტანა, ორჯერაც ისეთი ძალით მოარტყა კარის ძელს, რომ ის კარგა ხანს ზანზარებდა.

ასე დაიწყო ჩემი საფეხბურთო ოდისეა მსოფლიო ფეხბურთში. დღეს ეს ჩვეულებრივი ამბავია, ხოლო მაშინ, შორეულ, 1965 წელს, ჯერ კიდევ იშვიათი ხილი იყო.

ტრადიციულად ხშირად იხსენებენ სამ ფაქტს, რომელიც ამშვენებს ფერენც პუშკაშის ბიოგრაფიას. პირველი ეს არის დაუვიწყარი მატჩი „უემბლიზე“ 1953 წელს, როდესაც უნგრელებმა 6-3 სძლიეს ინგლისელებს. ორი გოლი გაიტანა ფერენც პუშკაშმა. მომდევნო, 1954 წელს რევანშის სურვილით ანთებული ინგლისელები ბუდაპეშტში ჩავიდნენ, მაგრამ „ნეპშტადიონზე“ კვლავ მწარე მარცხი იწვნიეს 7-1. ორი გოლი ისევ პუშკაშის ანგარიშზეა.

ჩემპიონთა თასის ფინალებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია მატჩს 1960 წლის 18 მაისს მადრიდის „რეალსა“ და „აინტრახტს“ შორის, რომელსაც გლაზგოს ცნობილ „ჰემპდენ — პარკზე“ ფეხბურთის ქომაგთა სარეკორდო რაოდენობა, 134 ათასი გულშემატკივარი ესწრებოდა. ისინი არნახული საფეხბურთო სპექტაკლის თვითმხილველნი შეიქნენ. მიმომხილველები ჩემპიონთა თასის ისტორიაში ამ ფინალს საუკეთესოდ მიიჩნევენ. ფერენც პუშკაშმა და ლეგენდარულმა ალფრედო დი სტეფანომ სოლო კონცერტი გამართეს და გლაზგოში ბრწყინვალე საფეხბურთო სპექტაკლი დადგეს, რომელსაც დავიწყება არ უწერია. დიდმა დი სტეფანომ „ჰეთ-თრიკი“ შეასრულა, ხოლო მისმა ღირსეულმა პარტნიორმა პოკერით უპასუხა და მოწინაალმდეგის კარში ოთხი გოლი გაიტანა. ცენტრფორვარდთა ტანდემი დი სტეფანო — პუშკაში მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი უძლიერესი იყო. ძნელი საფიქრალია, რომ დი სტეფანოს და პუშკაშის ეს რეკორდი ვინმემ გაიმეოროს, ხოლო დამხობის წარმოდგენაც კი რთულია.

აღსანიშნავია, რომ პუშკაშს ორჯერ — 1952 და 1954 წელს უთამაშია მოსკოვში საბჭოთა კავშირის ნაკრების წინააღმდეგ, რომლის რიგებშიც გამოდიოდნენ ცნობილი ქართველი ფეხბურთელები **გოგი ანთაძე და ბასა ღოღობერიძე.**

ფერენც პუშკაში გენიალურად თამაშობდა მარცხენა ფეხით. აქედან მოდის გამონათქვამი „ოქროს ცაცია“. მან უნგრეთის და ესპანეთის ჩემპიონატში 512 გოლი გაიტანა. მათი უმეტესობა, რა თქმა უნდა, ცაციათი.

